## სიტყვა გიორგი ლეონიძეზე

# ქართული ლექსის რაინდი

გიორგი ლეონიძე არის ნიმუში ქართული პოეზიისა. ის, ერთგული შვილი თავისი ლამაზი ქვეყნისა, მისი „ლამაზი მიწის მკოცნელი", დაუცხრომლად უმღერის წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწას, მის მხურვალე ბარაქას... მის პიროვნებაში ერთიანდება შესანიშნავი დიდი პოეტი და გამოჩენილი მკვლევარი. თავის სამშობლოს იგი უმღერის არა მარტო მომაჯადოებელი ლექსებით, არამედ დინჯი მკვლევარის კალმითაც.

**კორნელი კეკელიძე.**

გიორგი ლეონიძის ჯადოსნური სიტყვა საარაკო ქართული ხალხური მეტყველების ამოუწურავი საგანძურიდან უხვად მომდინარეობს.

**არნოლდ ჩიქობავა.**

გიორგი ლეონიძემ, საქართველოს სახალხო პოეტმა, მთელი საბჭოთა პოეზიის სიამაყემ, ჩვენმა საყვარელმა, ძველმა მეგობარმა, ახალგაზრდა თაობათა მასწავლებელმა და სიცოცხლის დიდმა ტრფიალმა, ვრცელი და სახელოვანი გზა განვლო. მან შექმნა ისეთი დაუვიწყარი და შთაგონებული ნაწარმოებები, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენს გულში.

**ნიკოლოზ ტიხონოვი.**

გიორგი ლეონიძე იყო „...ერთგული მეგობარი, მომხიბლავი თანამოსაუბრე, გულღია მასპინძელი, რომლის სამშობლო მხარე განსაკუთრებით საყვარელია ჩემთვის ახალგაზრდობის მოგონებებით, ჩინებული პოეტის, ჩვენი ომახიანი თანამეინახისა და თანამებრძოლის მოგონებებით".

**ლეონიდ ლეონოვი.**

მრავალი წლის განმავლობაში ჩემთვის გიორგი ლეონიძე იყო თანამედროვე ქართული ლირიკის სილამაზეთაგან ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი გამომხატველი, ძველი ხალხის ისტორიული პოეზიის მარად ცოცხალი ხელოვნების უახლოესად ერთგული.

**ალექსი სურკოვი.**

...არა მარტო საქართველოსათვის, არამედ უკრაინელებისთვისაც დაუვიწყარია გიორგი ლეონიძის შთაგონებული, უკვდავი სიტყვა.

**მიკოლა ბაჟანი.**

ნემანის მხარე მუდამ ინახავს ხსოვნას მშვენიერი საქართველოს განუმეორებელი მგოსნის შესახებ. ჩვენს ხელში სამუდამოდ ცოცხლობს შესანიშნავი ადამიანის, დიდი ტალანტისა და ერთგული მეგობრის სახე.

**ედუარდას მეჟელაიტისი.**

ლეონიძის ნათელ ტალანტში ბედნიერად შეხამებული იყო XX საუკუნის პოეტის ეპიკური და ლირიკული სული. მისი ლირიკის პანთეიზმი გამოდის მშობლიური ლიტერატურიდან, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს რუსთაველის უკვდავი პოემის კეთილშობილურ ნიადაგში. ლეონიძის შემოქმედება სოციალისტური საქართველოს პოეტური ისტორიაა. მისი მთავარი გმირია ხალხი — მშენებელი, ხალხი მეომარი, ხალხი — მომღერალი.

**აშოტ გრაში.**